ხელშეკრულება #01/27-13
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

19 თებერვალი 2013 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის ალექსანდრა ობოლაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 534 502;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: 220 101 222;
ანგ/ნომერი: 200 122 900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
ი/მ "გიორგი ღლონტის" სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #44;
პირადი ნომერი: 01008001232;
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი";
ბანკის კოდი: MIBGGE22;
ა/ა: GE28PC 005 3600 100011485;
(შემდგომში "მიმწოდებელი").

იმის გათვალისწინებით, რომ „შემსყიდველმა" ჩაატარა **კონკურსი #674 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე**, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა „მიმწოდებლის" საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება გაუწიოს „შემსყიდველს" ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: **11 000.00 ლარი (თერთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი)** შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება".

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – „შემსყიდველ" ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" ორგანიზაციამ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საჭიროებისათვის:

- **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვა.**
- **CPV კოდი - 713 20000 საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.**

2.2 ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში - **დანართ #1**-ში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - 11 000,00 ლარს (თერთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი).

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

4. მიწოდების პირობები და ვადები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით) **დანართ #1**-ში მითითებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

4.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ნაწილზე ექსპერტიზის ჩატარება დამოუკიდებელ ექსპერტთან "შემსყიდველთან" შეთანხმებით.

4.3 "მიმწოდებლის" მიერ მომზადებული სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 525 000,00 ლარს (ხუთას ოცდახუთი ათასი ლარი და 00 თეთრი).

4.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში მოუმზადოს „შემსყიდველს" საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს არქიტექტურულ სამსახურში წარსადგენად და შესაბამისი ნებართვების მისაღებად.

4.5 „მიმწოდებელი" ვალდებულია პროექტის რეალიზების პერიოდში განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთიანად, დამოუკიდებელი ექსპერტის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდგომ.

5.2 „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ღირებულება და შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.

5.3 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია.

6. ფასი და ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, დამოუკიდებელი ექსპერტის დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდგომ **15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

6.2 ფასი გამოსახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

6.3 დაფინანსების წყარო: **2013 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.**

6.4 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი".

7.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

7.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელ"ს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

7.5 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია ან/ და კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 „მიმწოდებელს“ უფლება არ აქვს მოახდინოს შესრულებული პროექტის რეალიზება (განხორციელება) სხვა დამკვეთისათვის.

9.2 „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

11.1.2 თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

11.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ ხელშეკრულების 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ ხელშეკრულებაში, დარეგულირებული და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

15.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება „მიმწოდებლისათვის" მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 უცხოელი „მიმწოდებელი" პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი „მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2013 წლის 31 დეკემბრამდე.**

19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან" და ერთი პირი „შემსყიდველთან"). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4 დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

19.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	ი.მ „გიორგი ღლონტი"
ალექსანდრა ობოლაძე	გიორგი ღლონტი

ტექნიკური პირობა

საპროექტო სამუშაოები

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების არსებული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, შენობა-ნაგებობების არარეაბილიტირებული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციისა და ტერიტორიის (ეზოს) არარეაბილიტირებული ნაწილის კეთილმოწყობის არქიტექტურული სარეკონსტრუქციო სამუშაოების სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

1. <u>ღობე:</u>
1.0 ახალი ღობე (საჭიროებისამებრ);
1.1 არსებული ღობის აღდგენა.
<u>მთელი ღობის გასწვრივ</u>
1.2 მავთულ-ხლართის მოწყობა (1 მეტრის სიმაღლის);
1.3 განათების პროექტი (არსებულთან კავშირში);
1.4 ვიდეო-თვალთვალის პროექტი (არსებულ სისტემასთან მიბმა).

2. <u>ეზო:</u>
2.1 მოპირკეთება (ბეტონითა და ღორღით);
2.2 გარე განათება;
2.3 გამწვანება (საჭიროებისამებრ).

3. <u>შენობა (15-16მ²):</u>
3.1 მომსვლელების შესამოწმებლად;
3.2 WC, კარადები საკეტებით.

4. <u>საპარკო ნაგებობა (ფანჩატური 5-6მ²) - 8 ცალი.</u>

5. <u>B - ბლოკი:</u>
5.1 სახურავის გადახურვის მოწყობა (პროფფენილით);
5.2 ჭერის, შიდა და გარე კედლების შეღებვა;
5.3 არსებული ფანჯრების აღდგენა-შეღებვა, შუშების შეცვლა;
5.4 ჭიშკრების აღდგენა - შეღებვა;
5.5 სველი წერტილის მოწყობა (2-WC, 2-DU, 2-საშხაპე);
5.6 შიდა განათება.

6. <u>C - ბლოკი:</u>
6.1 WC - DU;
6.2 შიდა განათება;
6.3 საარქივე და სასაწყობე მეურნეობის მოწყობა ნორმებისა და წესების დაცვით.
7. <u>სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი.</u>

8. <u>სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის მომზადება.</u>

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	ი.მ „გიორგი ღლონტი“
ალექსანდრა ობოლაძე	გიორგი ღლონტი